

2005 წლის 21 ნოემბერი დიდი მეცნიერის, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის დამფუძნებლის გიორგი ნუბინაშვილის დაბადების ასმეოცე წლისთავია.

ბ-ნ გიორგის მოწაფეებსაც და მომდევნო თაობის ქართველ ხელოვნების ისტორიკოსებსაც იმდენჯერ და იმდენი რამ დაუწერიათ მის ცხოვრება-მოდვაწეობაზე, რომ ძალზე ჭირს უკვე ნათქვამს რამ დაუმატო; ისღა დაგვრჩენია, ცნობილს ოდნავ განსხვავებული კუთხით შევხედოთ.

ჩვენს საზოგადოებას მოეხსენება – თუ არადა, უნდა მოეხსენებოდეს – თუ რა გააკეთა გ. ნუბინაშვილმა როგორც მკვლევარმა. უმთავრესის კიდევ ერთხელ შესახსენებლად, ვთქვათ მაინც, რომ ბ-მა გიორგიმ: ა) შუა საუკუნეების ქართული სატაძრო და საერო ხუროთმოძღვრების მრავალი ნაწარმოების შესწავლის კვალად გამოავლინა შემოქმედების ამ დარგის რამდენიმე ისტორიული საფეხური და მათი ძირითადი მახასიათებლები; ბ) გამოარკვია VIII-XVIII, განსაკუთრებით კი IX-XI საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის ისტორიული ცვალებადობა, ხოლო ადრე შუა საუკუნეების რელიეფების მოხმობით ჩვენი შუასაუკუნოვანი მქანდაკელობის ზოგადი სურათიც მონიშნა; გ) სათავე მისცა ჩვენში მინაჩრის, სპილოს ძვალზე კვეთის, კედლის მხატვრობის ხელოვნებათმცოდნეობით დამუშავებას; დ) გამოკვეთა საქართველოში წინაქრისტიანული ხელოვნების შესწავლის საკითხების მთელი რიგი; ე) წამოიწყო XX საუკუნის ხელოვნების კვლევა; ვ) საყურადღებო გამოკვლევები უძღვნა სომხეთის, აზერბაიჯანის, ინგუშეთის და ა.შ. ძეგლებს და მათთან შეპირისპირებით ქართული ხელოვნების თავისებურებანი გამოაჩინა...

ეს ჩამონათვალი ერთი ადამიანისა კი არა, რომელიმე სამეცნიერო დაწესებულების წარმატებული მუშაობის მოწმობადაც გამოდგებოდა და სავსებით იკმარებდა გ. ნუბინაშვილის დამსახურების წარმოსაჩენად. მაგრამ "ხევიტ სიტყვა "დიდიც" გაისმა და ისიც ითქვა, იგი სამეცნიერო სკოლის შემქმნელიაო. აი, ამას კი მაღალფარდოვანებითა და ბრტყელ-ბრტყელი ეპითეტებით გაბეჭრებული ჩვენებური მკითხველი, ალბათ, მაინცადამაინც არ დაიჯერებს, მით უფრო, რომ "შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს". საბედნიეროდ, შეგვიძლია თან უცხოელის, თანაცვე დიდად დაფასებული და დასაფასებელი კაცის მოსაზრებაც მოვიშველიოთ.

ხუთიოდ წლის წინათ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუმრობდა ჰანს ბელტინგი, სავსებით სამართლიანად დღევანდელის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს ხელოვნების ისტორიკოსად მინჩეული. ის საქართველოში ადრეც ყოფილა და პირველი ჩამოსვლისას, 1960-იან წლებში, გ. ნუბინაშვილსაც შეხვედრია. მისი მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში პ. ბელტინგმა, სხვათა შორის, ბრძანა: "პ. ვეილფლინთან ბევრი მაქვს სადაო, გ. ნუბინაშვილთან კი არაფერი"-ო.

რატომ დააყენა წინამორბედთადმი მეტად კრიტიკულად განწყობილმა გერმანელმა პროფესორმა მისთვის ნაკლებად ცნობილი ქვეყნის ხელოვნების მკვლევარი უსახელგანთქმულესი შვეიცარიელი სწავლულის წინ, რომლის გამორჩეულობას არც მისი მოპაექრენი უარყოფენ? ახსნა, ვგონებ, შემოქმედ პიროვნებაზე გ. ნუბინაშვილის შეხედულებაშია საძიებელი. ევროპული ხელოვნებათმცნიერების წამძლოლი მიმდინარეობები თუ მათი თავკაცები ხელოვანს ხან მხოლოდ ფორმათამქმნელად

სახელმწიფო, ხან თანადროული სულიერი მოძრაობების, ინტელექტუალურ გატაცებათა ან სულაც რომელიღაც სა'სოგადოებრივი ფენის მისწრაფებათა გამოჩნატველად. გ. ნუბინაშვილის თვალში კი ხუროთმოძღვარი თუ ფერმწერი, ასე ვთქვათ, "სრული კაცია", "სახისმოქმედების" უნარით დაჯილდოვებული (ა და თავისი დროის ყოველგვარი ძიების, მისი ყველა ჭირისა და ლხინის გამწიარებელიც. შესაბამისად, მათ ქმნილებებშიც "სუფთა" მხატვრული მიდგომაც აისახება და იმჟამინდელი რელიგიური, ფილოსოფიური, გინდაც სოციალური იდეები და იდეალები. მხატვრული ნაწარმოების ამ მხარეთაგან ყოველი ამოცნობისა და განსჯის ღირსია. ამათგან რომელიმე'ხე ყურადღების გამახვილება კი ამა თუ იმ მეცნიერის ბუნება-მიდრეკილებით, ასევე მეცნიერების მდგომარეობითა და შესაფერისი კვლევითი ხერხების არსებობა-არარსებობით განისაზღვრება. ამის გამო კი გ. ნუბინაშვილისა და მის მიმდევართათვის არცთუ არსებითია დასავლური ხელოვნებათმცოდნეობის მრავალი საკილო პრობლემა, ბევრი მისი "ან" – "ან".

მაგალითად: ვინ ამბობს ხელოვნებაში ფორმაა მთავარი, ვინ – შინაარსიო, სხვანი კი – მათი განყოფა არასაჭიროაო. გ. ნუბინაშვილის კვლევის უპირატესი "იარაღი" ფორმისძიერ თვისებათა დახასიათებაა – იმ მარტივი მიზეზით, რომ ხელოვნების ნაწარმოები წვეთის ფორმადაა მოცემული. მაგრამ ბ-ნ გიორგისთვის არანაკლებია მასში ნაღებელი მსოფლ'შეგრძნებითი მუხტიც და მხატვრული ქმნილება უკანასკნელის ხიძლიერითა და სულიერი სიძაღლითაც ფასდება. შემთხვევით როდი უყვარდა ასე გ. ნუბინაშვილს ქრისტიანობის პირველი ათასწლეულის ხელოვნება, როდესაც ოსტატი – წრომის ტაძრის დიდებულ მაშენებელსუ მის გამონათქვამს დავესესხები – "თავისი ხარწმუნოებისამებრ ცხოვრობდა და თავისი მრწამსისაებრ ქმნიდა". ამ მიზეზითვე, უხენაესი ღირებულებებისადმი ერთგულებით, გამოარჩია გ. ნუბინაშვილმა XX საუკუნის მხატვართაგან არა მარტო შედარებით "ტრადიციული" ფრანს მასწერელი და კეტე კოლვიტცი, არამედ გერმანულ-ავსტრიულ ექსპრესიონი'ზმთან ახლოს მდგომი მოქანდაკე და დრამატურგი ერნს ბარლახიც. სწორედ ამიტომ შექმნა 1952 წელს არნოლდ ჩიქობავას გულდაჯერებით ეთქვა გ. ნუბინაშვილის და მის თანამდგომთა "იდეოლოგიურად" განმქიქებლების მისამართით: "აქ ერთმანეთში ერევენ ფორმალისმსა და ფორმის ანაღი'ს"-ო.

აღტერნატივებად გ. ნუბინაშვილისთვის არც ხელოვნების ისტორიის "მამოძრავებლად" ან ინდივიდუალური გენიოსის ან რაღაც ზეინდივიდუალური საწყისის ("მშვენიერების იდეა", "სული", "სახელოვნო ნება" და ა.შ.) აღიარება ჩანს. მისთვის მხატვრულ-ისტორიული პერიოდები თუ ეტაპები დიდნიჭიერ პიროვნებათა ღვაწლია, რომელთა მცდელობას ყველასათვის საერთო კულტურული ვითარება აძლევს მიმართულებას.

ქართველი ხელოვნებათმცოდნეების თვალსაზრისით ერთმანეთს არც ხელოვნებაში "ჯიშის" თუ ერის ხასიათის გამოვლინება გამოორიცხავს ღიადი ადამიანების პიროვნულ ხედვას. წვენი "თერგდაღუელებისა" და XX საუკუნის დამდუგის მოაზროვნეთა (კმარა ა. ჯორჯაძის, მის. წერეთლის, გრ. რობაქიძის, გ. ქიქოძის დასახელება(ც) მსგავსად გ. ნუბინაშვილისა და მის კვალში მავალთათვის ეროვნულობა ამა თუ იმ ხალხის ისტორიულად შემქმნავებული მსოფლგანცდის მწენი გარკვეული კონსტანტებია, რომელთა წიად ცალკეული შემოქმედნი თავთავის რიგზე შეიცნობენ და განასახოვნებენ საკაცობრიო ფასეულობებს.

თბილისის სახ. უნივერსიტეტში ზემოხსენებული გამოსვლისას ჰანს ბელტინგმა ასეთი ამბავიც გაიხსენა: პირველი, რაც დიღომს მოაგარაკე 80 წლის გ. ნუბინაშვილისგან მასთან ჩამოსულ ახალგაზრდა (ის ოცდაათისა თუ იქნებოდა) სტუძარს მოუსმენია, იყო შემდუგი: "თქვენი წიგნი წავიკითხე, სულ სხვანაირად დაწერილი, ვიდრე ამას მე გავაკეთებდი და ის სწორედაც ამით მომეწონა"-ო. წერვინ იფიქრებს,

ბ-ნ გიორგის ეს თავაწილობამ ახ სტუდენტობაში ათქმევია – ეს მისი დრმა და მყარი რწმენა იყო. დაახლოებით იმ ხანებში, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ერთ თანამშრომელთაგანს მოხსენებაში მცხეთის სვეტიცხოვლის შესახებ მისი აზრი მიუთითებია. ამის გამგონე გ. ჩუბინაშვილმა მიუგო: "ნუ იმოწმებთ ბ-ნ გიორგის! ის მოხუცია, ეს დიდი ხნის წინ დაწერა და, იქნებ, შემცდარიც იყოს. თქვენით იფიქრეთ!"-ო. ნებისმიერი ადამიანის მიერ ნააზრის ბოლოვადობისა და შესლულულობის გაცნობიერება, შესაძლო განსხვავებული აზრის გათვალისწინება თუნდაც იმით სანიშნოვდება, რაოდენ ხშირად მოიხმარება მის ნაწერებში გამოთქმები: "ეტყობა", "როგორც ჩანს", "საფიქრებელია" . . . მეუღლისადმი, ქ-ნ ნინო ღვინიაშვილი-ჩუბინაშვილისადმი 1930-იან წლებში გამოგზავნილ ერთ წერილში კი ბ-ნი გიორგი პირდაპირ ამბობს – მიჭირს იმათთან ურთიერთობა, ვისაც სხვათა შესმენა არ ძალუძსო.

ამასთან, გულისხმიერება და ჭეშმარიტი შემწყნარებლობა გ. ჩუბინაშვილთან არათუ გამორიცხავს მიუდგომლობას (ვახტ. ბერიძე იტყვის "უშეღავათობას"-ო), მას გულისხმობს კიდევ. ასე, თვით უახლოესი მოწაფეების ნაშრომებზე გამოხმაურებისას, ის უწვრილეს ხარვეზებსაც უთითებს ხოლმე. ძველი ხელოვნების შეფასებისასაც ის თავს მოვალედ რაცხს არ დაფაროს სხვათათვის შეუძნეველი ზადიც კი – ნაკლი მან მცხეთის წმ. ჯვრის ტაძრის შესანიშნავ ხუროთმოძღვარსაც უნახა. ოღონდ ეს გულცივობის მტკნარი "ობიექტურობა" როდია. ბ-ნი გიორგის თხრობა ყოველთვის დინჯია, სადა, "შეუფერადებელი". მაგრამ მასში ხშირად გამოსჭვივის ხოლმე დიდ თუ მცირე ოსტატთა მიგნებებით გამოწვეული სიხარული; სიამაყე, რომელსაც აღძრავს საკუთარი სამშობლოს წარსულში ამობრწყინებული სრულქმნილება.

ყოველივე ამის გამოისობით გ. ჩუბინაშვილის ფიქრისა და ამქვეყნად მყოფობის წესი ჩვენთვის მოწოდებაცაა და მაგალითიც. ქართველ ხელოვნების ისტორიკოსებს მისი დანატოვარი გვაგაღებულეებს, არ დაუთმით მისი მონაპოვარნი, ის, ასე ვიტყვოდი "დინამიკური ხელოვნების ისტორია", რომელიც აუცილებლობით ითხოვს უცნობილესშიც ახალ-ახალი წახნაგების მოხელთებას, კვლევის ხერხების მუდმივ დახვეწასა და გამრავალფეროვნებას. ხოლო ყველას, განურჩევლად ხელობისა, მისი ცხოვრება დაგვანახებს, რომ – წინააღმდეგ ფსევდორომანტიკული ცრურწმენისა – თავკერძობა და უზნეობა სულაც არ არის ნიჭიერების გარდუვალი თანმხლები; პირიქით, ზნეობრივი სრულყოფილებისკენ სწრაფვას შეუძლია შემოქმედებით ღვწას ძალა და გაქანება შესძინოს. მაშინ – და ასეა ეს გ. ჩუბინაშვილის შემთხვევაში – უდიდესი სამეცნიერო თუ სახელოვნო მემკვიდრეობაც თითქოს სარკე ხდება, რომელშიც თავად მას ბევრად აღმატებული პიროვნული დიდბუნებოვნება გამოსჩანს.

დიმიტრი თუმანიშვილი
თბილისი, 2005

Resume

Dmitri Tumanishvili

Based on the works by G. Chubinashvili, memoirs of his contemporaries and archival material, the author makes an effort to characterise G. Chubinashvili as a scholar and a distinguished personality.



გიორგი ჩუბინაშვილი. ლაიპციგი. 1910-იანი წლები



სხედან: ვახტანგ ბერიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, თინათინ ვირსალაძე.
დგანან: ვახტანგ ცინცაძე, რუსუდან მეფისაშვილი, რენე შმერლინგი,
პარმენ ზაქარაია, ლევან რჩეულიშვილი. თბილისი, 1942 წ.



გიორგი ჩუბინაშვილი და გიორგი (გოგლო) ყაზახაშვილი. პეტერბურგი, 1903 წ.